წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

ამ კრიტერიუმებით სწორდება როგორც წერითი დავალება № 1, ისე წერითი დავალება № 2. თითოეული წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა *20.*

თუ ნაშრომი **არ უპასუხებს** დავალების პირობას ან დავალება მთლიანობაში **არაადეკვატურადაა გაგებული,** ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ **აზრის გაგება ჭირს,** ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.***

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალება ***ადეკვატურადაა*** გაგებული და გააზრებული.	2
2.	დავალება ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული და გააზრებული.	1
3.	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული.	0 ნაწერი აღარ სწორ-დება

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	2
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** დარღვეულია ტექსტის ლოგიკა *და/ან* აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	1
3.	ნაშრომში ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა და იგი ორგანიზებული ***არ არის.***	0

III კრიტერიუმი

№	*მსჯელობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტები ***არადამაჯერებელია.***	3
3.	მსჯელობა ***ზერელეა***, არგუმენტები ***არადამაჯერებელია.***	2
4.	მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტების მოხმობისას ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.***	0

IV კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ***ფართო*** ერუდიცია.	3

2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მისი ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მოსწავლის ერუდიციაცა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა ერუდიცია.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ერუდიცია.	0

V კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტილისტური ხარვეზი.	1
4.	თხზულება ლექსიკურად და სტილისტურად ***გაუმართავია.***	0

VI კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ***სამზე მეტი*** შეცდომა.	3
2.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	2
3.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ***ცხრაზე მეტი*** შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	*პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ***სამზე მეტი*** შეცდომა.	3
2.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ***ხუთზე მეტი*** შეცდომა.	2
3.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ***ცხრაზე მეტი*** შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** შეცდომა.	0